ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3153822

ნომერი: AR1485276

თარიღი : 10.03.2017

გაცემის თარიღი : 17.03.2017

გაცნობის თარიღი : 17.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ქუჩა შეშელიძე , N 126 / ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ქუჩა შეშელიძე , N 126 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კვარაცხელია პ/ნ 01015010517
- თბილისი, ოქროყანა, ნიკო ბურის ქ. 4

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების

მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1485276 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.12.018.236) სერვიტუტით დატვირთვასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: დღეის მდგომარეობით თქვენს დაინტერესებაში არებულ საკადასტრო ერთეულს (საკადასტრო კოდი: #01.11.12.018.239) ალტერნატიული მისასვლელი სამანქანო გზა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, მოცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.12.018.236) მესაკუთრის შესაბამისი თანხმობის მოპოვების შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, თქვენს მიერ დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 01.11.12.018.226–ის ფარგლებში არსებული სერვიტუტის გაგრძელებაზე, საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: #01.11.12.018.236) ფარგლებში არსებული ტერიტორიის სერვიტუტით დატვირთვასთან დაკავშირებით, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.12.018.239) მისასვლელი სამანქანო გზით უზრუნველსაყოფად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.